

ეროვნული ჰიმნი, როგორც პოლიტიკური დისკურსის ჟანრი და მისი სემიოტიკა

მარინა ქავთარაძე

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ჰიმნი, ჰიმნის ფუნქციები, პოლიტიკური დისკურსი, ჰიმნის სემიოტიკა, საქართველოს ჰიმნები, „დიდება“, საბჭოთა საქართველოს ჰიმნი, „თავისუფლება“

მოხსენება ფოკუსირებულია სახელმწიფო ჰიმნის, როგორც პოლიტიკური დისკურსის ჟანრის თავისებურებებზე, რომელიც მეტაფორების გამოყენებით ქმნის პოლიტიკური ენის სემიოტიკურ ველს, ემოციებზე მუსიკით, ცნობიერებაზე კი სიტყვებით ზემოქმედებს მსმენელზე და მის იდენტიფიცირებას ახდენს ერსა და სახელმწიფოსთან.

ჰიმნის შესახებ საუბარი აქტუალური ხდება და განსაკუთრებით მწვავედ, როდესაც ქვეყნის ისტორიის გარდამტეხი მომენტი დგება და ალბათ ეს ჩემი რეპინისცენციები ჰიმნის თემაზე ამ ვითარებითაა ინსპირირებული.

ჰიმნის თემის კვლევის სურვილი კარგა ხანია მაწუხებდა. ამ იდეის რეალიზება 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის ჩემს მიერ მომზადებულ საქართველოს ჰიმნების სანოტო კრებულსა და მის წინასიტყვაობაში შევცვადე,¹ რომელიც ამავე დროს ჰიმნებში მოთხრობილი მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიაც არის. ამჯერად ჩემი მოხსენება ინსპირირებულია უკრაინის ჰიმნით, რომელმაც როგორც უკრაინელებისადმი სოლიდარობისა და თავისუფლების სიმბოლომ მთელი მსოფლიო მოიცვა.

მოხსენება ძირითადად ფოკუსირებულია ეროვნული ჰიმნის, როგორც პოლიტიკური დისკურსის ჟანრის თავისებურებებზე. ის ეხება ეროვნული ჰიმნის ფუნქციებს, ფუნდამენტურ პოლიტიკურ ღირებულებებს, პოლიტიკური მეტაფორების გამოყენებას, რომელიც ქმნის ნიშანთა კორპუსს და პოლიტიკური ენის სემიოტიკურ ველს.

როგორ განიმარტება ჰიმნის მნიშვნელობა?

ჟანრული თავისებებით ჰიმნი საზეიმო სიმღერაა,

რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს ან სოციალური ერთობის სიმბოლოდ. ჰიმნის სახეობებია: სამხედრო, სახელმწიფო, რელიგიური. ჰიმნი, დროშასთან და გერბთან ერთად, ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სიმბოლოა. ეს არის ჰიბრიდული ლიტერატურული ჟანრი, რომელიც განასახიერებს სხვადასხვა დისკურსულ სახეობებს და მას აქვს იდენტიფიცირების, გაერთიანების, აქსიოლოგიური, „ოპ-ტიმისტურ-გამახანვეველი“, იდეოლოგიური, ლაუდატორული, ექსპრესიული ფუნქციები.

სახელმწიფო ჰიმნი ქვეყნის იდეოლოგიის, ეროვნული იდეის კონცენტრირებული გამოხატულებაა, რომელიც ადამიანის ემოციებზე მუსიკით, ცნობიერებაზე კი სიტყვების ზემოქმედებით მოუწოდებს მსმენელს იდენტიფიცირება მოახდინოს ერთან, სახელმწიფოსთან. სახელმწიფო ჰიმნის შექმნის მთავარი იმპულსი არის ეროვნული იდეა. ყოველ ერს საკუთარი საზეიმო მუსიკალური ნაწარმოები აქვს ჰიმნის რანგში აყვანილი, რომელიც მის სახელმწიფოებრივ წყობას, პოლიტიკურ იდეოლოგიას, ეროვნულ იდენტობას და სულისკვეთებას გამოხატავს. სახელმწიფო ჰიმნს კიდევ ერთი, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს — მას ქვეყნის წარმომადგენლობითი ფუნქცია გააჩნია.

ეროვნულ ჰიმნს, როგორც მუსიკალურ ჟანრს შე-

1 Kavtaradze, Anthems, 2018. გვ. 5

უძლია დროში „ცხოვრება“ და ის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე „ცნობადი მუსიკალური სახეა“. მას, როგორც ქვეყნის ერთგვარ მუსიკალურ „სლოგანს“ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც პირობითად შეიძლება შევადაროთ პროდუქტის სამარკეტინგო თვისებებს მაღალი ასოციაციურობით და ციტირების შესაძლებლობით.

ბევრი ეროვნული ჰიმნი თავდაპირველად იღებდა ლოცვის ფორმას ღმერთის, მონარქისა და სამშობლოსადმი, ან შეიცავდა ზეციდან კურთხევის მოწოდებას სუვერენისთვის, როგორცაა უძველესი ბრიტანული ჰიმნი Save the King. დღეს ყველაზე ძველ ჰიმნად, ითვლება ნიდერლანდების ჰიმნი Het Wilhelmus, რომელსაც მე-16 საუკუნიდან მღერიან როგორც ეროვნულ ჰიმნს. ერთ-ერთ ყველაზე ძველ ჰიმნად იაპონელები მიიჩნევენ თავიანთ ტექსტს, რომელსაც მე-10 საუკუნიდან ასრულებენ. არის ქვეყნები, რომელთა ჰიმნებსაც ტექსტი არ აქვთ, მაგალითად, ესპანეთის ჰიმნი La Marcha Real².

თუმცა, ჰიმნების მასობრივად შესრულება მე-19 საუკუნის ტრადიციას, ანუ იმ დროისა, როცა ყალიბდებიან, დღევანდელი წარმოდგენით, თანამედროვე ერები და სახელმწიფოები. სწორედ მე-19 საუკუნიდან სრულდება ჰიმნები მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებების დროს, საპატიო სტუმრების მიღებისას, ეროვნულ დღესასწაულებზე და ა.შ. ჰიმნები ხშირად გარკვეული ტიპის მარშებია, საბრძოლო ტექსტებით, რომლებსაც ომში ასრულებენ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია მარსელიოზა, რომელიც თავიდან იყო რევოლუციურ-საომარი სიმღერა.

სხვადასხვა ეროვნული ჰიმნების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ მიუხედავად მათი ოფიციალურ სახელმწიფო სიმბოლოდ აღიარებისა, ისინი განსხვავდებიან ჟანრული წარმომავლობით და სემანტიკური მახასიათებლებით. ჰიმნის ტექსტები შეიცავს ინფორმაციას ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიისა და პოლიტიკური სტრუქტურის შესახებ. ეროვნული ჰიმნის აქსიოლოგიური ასპექტები იქმნება სიყვარულისა და კარიტაციის გრძნობების სემანტიკური თვისებებით, რომლებიც თან ახლავს მას და სამშობლოს

განდიდებასთან ერთად, უსურვებს კეთილდღეობას, ერთგულებას და თავისუფლების დაცვას. ჰიმნის ტექსტებში რეპროდუცირდება ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა ან ხელისუფალთა სტერეოტიპები, რომლებიც გაჯერებულია მეტაფორებით. სხვადასხვა ქვეყნის ჰიმნების სპეციფიკური ხასიათი იქმნება მათი სემანტიკური მახასიათებლების კომბინაციით³.

მაგალითად, ის რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ უკრაინაში, არის იმის ქმედებაში გადატანა, რაც ჰიმნშია⁴ გაცხადებული, რომ ისინი არიან კაზაკების მოდემის, რომ უკრაინა არ მომკვდარა და ისინი სულს და ხორცს დადებენ ქვეყნის გადასარჩენად. შემთხვევითი არ არის, რომ უკრაინის ჰიმნი ალელუიასაც კი ჩამოჰგავს და მასში ლიტურგიულობის ნიშნებიც კი იკვეთება. მასში თითქოს ფიზიკური ძალა და სულიერი ნებელობა არის გამოვლიანებული. და ტექსტის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელშიც მეტაფორულად მომავლის იმედის რწმენაა – „დილა რომ გათენდება, ჩვენი მტრები ისევე გაქრებიან როგორც დილის ნამი მზეზე“⁵...

მაგალითისთვის მოვიყვან საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნს – „მარსელიეზას“ და ევროკავშირის ჰიმნს. ეს ჰიმნები მნიშვნელოვანია იმით რომ მათში ჩადებულია განსაზღვრული ხასიათი და გამოცდილება, კონკრეტული ერების ღირებულებებს რომ ასახავს. ისტორიული მომენტი, როდესაც საფრანგეთსა და ესპანეთს შორის ომი იყო და მარსელიეზა მოუწოდებდა ფრანგებს დაეცვათ საკუთარი სამშობლო, პირველ რიგში გამოხატულია მის სიტყვებში („მოდით, მამულიშვილებო, დიდების დღე მოვიდა! ტირანის წინააღმდეგ, სისხლიანი დროშა აღიმართა“). მაშინ როდესაც ევროკავშირის ჰიმნი ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალის „სიხარულის“ თემით კაცობრიობას ერთიანობისკენ რომ მოუწოდებს („ყელს მოგეხვევით მილიონებო“), ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას თავისუფლების, სოლიდარობის და ღირებულებების გარშემო გაერთიანებისაკენ მოუხმობს.

დღეს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას მისი უნიკალური ეროვნული იდენტობა გამოარ-

2 Hal, National Anthems, 1996, p. 17.

3 Eyck, The Voice, 1995, p. 176.

4 კომპოზიტორი მიხაილო ვერბიცი, ტექსტის ავტორი პავლე ჩუბინსკი, მ. ვერბიცი ლიტურგიული ჟანრის ნაწარმოებებს წერდა.

5 Хорошевский, Гимн Украины, 2022.

ჩვეს; შესაბამისად, თითოეული სახელმწიფოს ჰიმნი მეტ-ნაკლებად, მის ისტორიას, ხასიათს თუ ბუნებას აირეკლავს. დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ნაციონალური ჰიმნები – საფრანგეთის ჰიმნი „La Marseillaise“, დიდი ბრიტანეთის „God Save the Queen“ („ღმერთო დაიფარე დედოფალი“) და ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნები „The Star-Spangled Banner“ („ვარსკვლავებით მოჭედილი დროშა“) პატრიოტული სიმღერებია, რომლებსაც კარგად სცნობენ მთელ მსოფლიოში, როგორც ქვეყნის იდენტობის გამოხატულებას, რომელიც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ აღიქმება.

პოლიტიკური ცვლილებების ფონზე შესაძლოა მოხდეს ჰიმნის ცვლილებაც. მაგრამ ქვეყნები, რომლებიც არაადეკვატურად რეაგირებენ მომხდარ მოვლენებზე არ ცვლიან ჰიმნებს (მაგ. რუსეთის ალექსანდროვ/მიხალკოვის ჰიმნი, 2001).

ჰიმნის სემანტიკაში როგორც წესი, იკითხება მშვიდობის იდეა, მაგრამ არის ჰიმნები, სადაც ასეთი რამ არ არის, მაგ რუსეთის ჰიმნი, რომლისგანაც მოდის საშიში მესიჯები-ჰიმნში ლაპარაკია შავი ზღვიდან ჩრდილოეთამდე გადაჭიმულ საზღვრებზე და იმპერიულ ზრახვებზე. „რუსეთს აქვს დიდება, ძალა, რომელიც საუკუნოდ მათი მიღწევაა“ – ჟღერს როგორც მუქარა. რუსეთმა არ გააკეთა დისტანცირება იმისაგან რა გამოცდილებაც საბჭოთა კავშირმა მოიტანა, მან არა მარტო არ გაასამართლა ის რეჟიმი და ღირებულებები, რაც მას ჰქონდა, არამედ მისი სამართალმემკვიდრე აღმოჩნდა ღირებულებების კუთხითაც და ხაზგასმით სიმბოლიკაც, ჰიმნის სახით, უცვლელი დატოვა. პუტინის სიტყვებით რომ ვთქვათ „ყველაზე დიდი შეცდომა იყო საბჭოთა კავშირის დაშლა“, რასაც ჰიმნის შენარჩუნებითაც ამტკიცებს.

გერმანიის ჰიმნი, რომლის მელოდია იოზეფ ჰაიდნს ეკუთვნის, ძველად გერმანიის იმპერიის ჰიმნს წარმოადგენდა (1796/97). ჰიმნის პირველი სტროფის სიტყვები Deutschland Über Alles – „გერმანია უპირველეს ყოვლისა“, ნაცისტური გერმანიის ძალაუფლების წლებში მისი იდენტობის გამომხატველი გახდა. ომის შემდგომ, გერმანიის დასავლეთ ნაწილში სახელმწი-

ფოს ჰიმნად დარჩა „სიმღერა გერმანიაზე“, მაგრამ მხოლოდ მისი მესამე სტროფი დაადგინეს ოფიციალურ ჰიმნად, რომლის ტექსტში აქცენტია თავისუფლებაზე, სამართლიანობაზე, გერმანიის როგორც ყველასთვის საერთო სახლის მნიშვნელობაზე⁶. რუსეთისგან განსხვავებით, გერმანელებმა გადაიარეს საკონცენტრაციო ბანაკების, დახაუს, აუშვიტცის მწარე გამოცდილება.

ჰიმნებში ასახული ქვეყნის ისტორია

სახელმწიფო სიმბოლოებს შორის, როგორიცაა გერბი, დროშა, ჰიმნი, საქართველოში ჰიმნი ყველაზე ახალი ფენომენია. „ღერბნი არიან ნიშანნი ხარისხისა და პატივისანი“ – ასე განმარტავს იოანე ბატონიშვილი გერბების მნიშვნელობას. ანუ, თუ ღერბისა და დროშის განმარტებას ჯერ კიდევ წინარე საუკუნეებში შევხვდებით, ჰიმნი, სახელმწიფოებრივი სიმბოლოს მნიშვნელობით მე-20 საუკუნიდან მკვიდრდება.

„ყველაზე დიდი გამოგონება ქვეყანაზე ანბანი, ჰიმნი და დროშაა, რადგან სამთავე თავისუფლების სათავეა“, – წერდა ნოდარ დუმბაძე.⁷

ქართველები ამაცობენ თავიანთი ხალხური სიმღერებით და თითოეული მათგანი ქართველთათვის თავისებური ჰიმნია. ამიტომაც არაკანონიზირებული ჰიმნების ფუნქციას მათთვის საგალობლები და ხალხური სიმღერები ასრულებდნენ, როგორიცაა მაგალითად „მრავალჟამიერი“, „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ“, „ლაშქრულები“, „შავლეგო“, „მხოლოდ შენ ერთს“ და სხვ.

1917 წლის დეკემბერში აკაკი შანიძემ ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში გამოაქვეყნა „ქართული ეროვნული ჰიმნის“ ტექსტი, რომელიც „ალიფაშას“ ხმაზე უნდა შესრულებულიყო: „აბა, ფხიზლად ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა! წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა! ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა! და ყური უგდოთ გურჯი-ბოლახს და ნუ ვაღებთ დარიალსა!“⁸. ცხადია, ტექსტისა და „ალიფაშას ხმაზე“ შესრულების სირთულის გამო, აკაკი შანიძის ვარიანტი საქართველოს ეროვნულ ჰიმნად ვერ იქცეოდა. ისტორიკოს ირაკლი ირემაძის თქმით, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხა-

6 Hanson, German National Song, 2013.

7 ამ ფრაზას ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ გმირი ძია ისიდორე ამბობს.

8 შანიძე, ეროვნული ჰიმნი, 1922.

დებისას, შესრულდა არა ეროვნული ჰიმნი, არამედ ანდრია ყარაშვილის „სამშობლო“.⁹

კანონიკური სახელმწიფო ჰიმნის ისტორია საქართველოში XX საუკუნიდან იწყება, შესაბამისად, XX საუკუნის საქართველოს ისტორია ამავედროულად „ჰიმნების ისტორიაცაა“, რომელშიც სარკესავით აირეკლა ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური ცვლილებები და კატაკლიზმები¹⁰.

„დიდება“ – საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი იყო 1918-1921 წლებში და საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი 1991-2004 წლებში. ის ამავედროულად პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფო ჰიმნია, რომელიც კონკურსის საფუძველზე შეირჩა. მისი ტექსტი და მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს.¹¹

„დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი არსებობა თავისი განცდის ინსტენსიურობით, უფრო ძლიერი იყო ვიდრე – ჩვენი მონობის ასი წელი“, – ასე აფასებდა გამოჩენილი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერ ხანას¹². დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ჰიმნის შესარჩევად გამართულ კონკურსში ნიკო სულხანიშვილის საგუნდო ნაწარმოებებიც მონაწილეობდა („დიდება ივერსა“ და „ღმერთო, ღმერთო“); ცარიზმის დამხობის და დამოუკიდებლობის მოპოვების ჟინით აღსავსე ნიკო ეროვნულ ჰიმნზე ოცნებობდა. სულხანიშვილის „ღმერთო, ღმერთო“, რომელსაც კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა ქართული მადრიგალი უწოდა,

ღვთისადმი აღვლენილი ლოცვის სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნდა და მასში ერის სულიერი სიღიადე, მშვიდობისმყოფელობა და რაც მთავარია, განსაცდელის ჟამს ქრისტიანული რწმენა იყო გაცხადებული¹³. მიუხედავად მისი გუნდების უდაო მხატვრული ღირსებებისა,¹⁴ ქართველი და უცხოელი მუსიკოსებით წარმოდგენილმა პროფესიულმა ჟიურიმ, ისინი რთულად შესასრულებელად მიიჩნია, რაც ჰიმნისთვის შესაბამოდ ჩაითვალა (და არა ფარული ინტრიგების გამო, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს)¹⁵.

საბოლოოდ შეირჩა კოტე ფოცხვერაშვილის ჰიმნი. პრესაში ჰიმნის მოდელის განხილვისას კოტე ფოცხვერაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მარტივად სამღერი, რთული მოდულაციებისგან და ქრომატიული ნიშნებისგან განტვირთული ჰიმნია მისაღები, რაც ირიბი გზით ამ არჩევანის გამართლებასაც წარმოადგენდა¹⁶.

ჰიმნი „დიდება“ პათოსით აღსავსე ტექსტში აისახა ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სამშობლოს სიყვარულის ის იდეალები, რომელსაც გარკვეული თვალსაზრისით პირველი რესპუბლიკის იდეოლოგია ეფუძნებოდა, ანუ კოტე ფოცხვერაშვილი დაეყრდნო იმ იდეალებს, რომელსაც ემყარებოდა 1792 წელს რუჟე დე ლილის მიერ შეთხზული საფრანგეთის რევოლუციის სალაშქრო სიმღერა. ქართულ ჰიმნში სიტყვა დიდება შვიდჯერ მეორდება, რასაც თავისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს – „შვიდი“ ჰარმონიისა და სრულყოფილების სიმბოლოა, რაც ხაზგასმულია სიტყვა „დიდებას“ შვიდგზის გამეორებით და თანხვედრაშია მუსიკის ბეაწეულ ხასიათთან

9 რეხვიაშვილი, ჰიმნის უფლება, 2019.

10 Kavtaradze, Anthems, 2018, p. 8.

11 ფოცხვერაშვილის ჰიმნის შერჩევის შესახებ მასალები ინახება ცენტრალური არქივის, ლიტერატურულ განყოფილებაში.

12 ბერიძე, კულტურა და ხელოვნება, 1992, გვ. 5.

13 ღვინჯილია, დაკარგული ოპერა, 2020.

14 ასი წლის წინანდელ პრესაში ვხვდებით ცნობებს იმის თაობაზე, რომ ჰიმნთა კონკურსი ჟიურის „სერიოზულ ღირსშესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებად“ უცნია ნიკო სულხანიშვილის ჰიმნი, რომელიც 1918 წლის 22 სექტემბერს „შესრულებულა ორკესტრით“.

15 ღვინჯილია, 2020.

16 „ჰიმნის მიღების მთავარი კრიტერიუმებია: რიტმი, მელოდია და ჰარმონია, რომლებიც საკვებით უნდა შეესაბამებოდეს ხალხურ ეროვნულ სიმეტრიას, სიტყვები, ასე ვთქვათ, თარგმანი უნდა იყოს ჰიმნის მუსიკისა, ხოლო ჰარმონიის მხრივ არ უნდა იყოს აჭრელებული ქრომატიული ნიშნებითა და რთული მოდულაციით“, – წერდა კოტე ფოცხვერაშვილი. ანალოგიური მოსაზრება ჰქონდა გია ყანჩელს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ყველა ამ მონაცემის დაცვით საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ყველაზე შესაფერი ა. ყარაშვილის „სამშობლო“ იყო ფალიაშვილის საგუნდო არანჟირებით (ყანჩელი, 2018).

და აღმავალ ინტონაციურ სვლებთან¹⁷.

„დიდების“ საწყისი ინტონაციების მსგავსება გერმანიის ჰიმნთან „Deutschlandlied“ როგორც ჩანს, კოტე ფოცხვერაშვილის სრულიად შეგნებული აქტი იყო იმ მადლიერების ხაზგასასმელად, რომელიც 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში გერმანიას მიუძღოდა;¹⁸ კონკრეტულად კი თბილისში გერმანიის ყოფილი კონსულის ფრიდრიხ ფონ შულენბურგის მიერ განხორციელებულ ზეწოლას, რომელიც, საქართველოს გადასარჩენად, ქართველი პოლიტიკოსებისაგან მოითხოვდა დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას, რათა მას საშუალება ჰქონოდა საქართველოსათვის სასიკეთო პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის მიეღწია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი 1944–1991 წლებში (მუსიკის ავტორი — ოთარ თაქთაქიშვილი, ტექსტის ავტორები — გრიგოლ აბაშიძე და ალექსანდრე აბაშელი).

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის ტექსტში საბჭოთა ბელადის და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის ხოტბაა. ტოტალიტარული იდეოლოგია არ იზიარებს ინდივიდუალური თავისუფლების იდეალებს. ტექსტი პიროვნების კულტის და ტოტალიტარული რეჟიმის დროინდელი ქვეყნის ილუზორულ „ბედნიერ მომავალს“ გვიხატავს. ტექსტის იმპერატიული ხასიათი მუსიკაში ხაზგასმულია მძიმე პუნქტირული აკორდული ფაქტურით და სილაბური წყობის აქცენტებით ყოველ მარცვალზე, გუნდისა და ორკესტრის მასიური მძლავრი ჟღერადობით. პოსტტალინურ ეპოქაში, პიროვნების კულტის დაგმობასთან ჰიმნის ტექსტში შევიდა ცვლილება და ბელადებიდან მხოლოდ ლენინის სახელი მოიხსენიებოდა.¹⁹

80-90-იან წლებში, საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში, მასობრივ

აქციებზე ჰიმნის ფუნქციას ხშირად ასრულებდნენ „შავლეგო“, ანდრია ყარაშვილის `სამშობლო~ (ზაქარია ფალიაშვილის საგუნდო არანჟირებით) და რევამ ლალიძის `ჩემო კარგო ქვეყანავ~ ილია ჭავჭავაძის ტექსტზე. საბჭოთა კავშირის ნგრევის ჟამს, ცოტას თუ ახსოვდა პირველი რესპუბლიკის ჰიმნის ტექსტი და მელოდია.

პირველი რესპუბლიკის ჰიმნის მეორე სიცოცხლე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1990 წლის 14 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, „დიდება“ საქართველოს ეროვნულ ჰიმნად გამოაცხადა და ასეთად დარჩა 2004 წლამდე, ვიდრე იგი არ შეცვალა „თავისუფლება“.

პირველი რესპუბლიკის ჰიმნმა პირველ რესპუბლიკაზე დიდხანს იცოცხლა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის იოსებ ირემაშვილის მოგონებების მიხედვით, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეტეხის ციხეში ისიდორე რამიშვილი და სხვა პოლიტიკური ტუსალები „დიდების“ სიმღერით შეხვდნენ 1922 წლის 26 მაისს²⁰.

ჰიმნი „თავისუფლება“

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წელს, შეიძლება ქართველი ერის სამოცდაათწლიანი ოცნების აღსრულების დასაწყისი ეწოდოს, რომელმაც აღიდგინა ის ძველი ატრიბუტიკაც, რაც საქართველოს ჰქონდა 1918-1921 წლებში, შესაბამისად ჰიმნი „დიდება“. მხოლოდ 2004 წლის აპრილში, „დიდება“ შეიცვალა ახალი სახელმწიფო ჰიმნით — „თავისუფლება“ (მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის, ჰიმნად გადამუშავებული იოსებ კეჭყემაძის მიერ, ტექსტის ავტორია დავით მალრადე).²¹

რა არის საქართველოს ჰიმნის მთავარი გზავნილი? თავისუფლება ორ ზღვას შორის ამობრწყინებული ვარსკვლავისა, რომლისთვისაც საქართველო თავს სწირავდა, იცავდა, რაშიც იგულისხმება სარწ-

17 Kavtaradze, Anthems, 2018, p. 6.

18 90-იან წლებში ამ ჰიმნის შეცვლის აუცილებლობის ერთ-ერთ მიზეზად ეს მსგავსებაც სახელდება.

19 იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ,

გმირთა კერა ხარ გაუქრობელი,

ქვეყანას მიეც დიდი სტალინი

ხალხთა მონობის დამამხობელი.

20 რეხვიაშვილი, იქვე.

21 სახელმწიფო ჰიმნი „თავისუფლება“, შემოღებულია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, გამოყენებულია მუსიკა ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“, II მოქმედების ე.წ.

„თავისუფლების სცენა“ („კიაზოს მიმართვა ხალხისადმი“).

მუნობის, საკუთარი იდენტობის დაცვა და მისთვის თავის გაწირვა. ჩვენ მთების ერი ვართ, ინტონაციურად ჰიმნიც მაღლა- მაღლა მიიწევს და ვარსკვლავის თემა არის იმ სინათლის სიმბოლო, რომელიც თავისუფლების ვარსკვლავის ნათებას უკავშირდება, რომელიც წყვილიადის შემდეგ ჩნდება.²²

ჰიმნზე მუშაობა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და მის თაობაზე ფართო დისკუსია გაიმართა. დავით მაღრაძის მიერ შექმნილი ჰიმნის ტექსტი სახელმწიფო კომისიამ 1000-მდე სხვა ტექსტს შორის აარჩია. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი ქვეყნის ლიტერატურული საგანძურის საფუძველზე შეიქმნა, სადაც გამოყენებულია ნაწყვეტები ქართველი კლასიკოსების: აკაკი წერეთელის, გრიგოლ ორბელიანის და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან. „ერის განწყობას და მისი არსებობის მიზანს ყველაზე კარგად აკაკი წერეთლის სიტყვები, „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“ მიესადაგებოდა... საქართველოს ჰიმნის ტექსტში მე შევეცადე შემენარჩუნებინა ქართული კულტურის ისტორიიდან ისეთი გზავნილები, როგორც იყო მაგალითად გალაკტიონის „ორ ზღვას შუა ძველის-ძველად საომარი იყო ლელო“, რადგან ქართველი კაცის მესხიერებაში, ის საქართველოს გაბრწყინებასთან ასოცირდება“ – დავით მაღრაძე. ჰიმნის ტექსტზე მუშაობისას დავით მაღრაძე იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ გერბისა და დროშის მსგავსად, მუსიკაც და ტექსტიც საქართველოს მუსიკალური და ლიტერატურული საგანძურის საფუძველზე უნდა დაწერილიყო.

ამგვარად, ბოლო 100 წლის მანძილზე საქართველოში სახელმწიფოებრივი რეჟიმის, სოციო-კულტურული და პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, იცვლებოდა სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა, შესაბამისად ჰიმნიც, რომელიც არა მარტო ეროვნული, არამედ იდეოლოგიურ-პოლიტიკური იდენტობის

სიმბოლოს წარმოადგენდა.

დასკვნა

ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ სახელმწიფო ჰიმნი პოლიტიკური დისკურსის ჟანრია, რომელიც ასახავს სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობას და მიზნად ისახავს ამ ქვეყნის მოქალაქეთა პატრიოტული განწყობის გაძლიერებას.

სახელმწიფო ჰიმნები შეიძლება იყოს:

1. სპეციალურად შექმნილი (ხოზე, Царя храни ან 1943 და 1977 წელს შექმნილი სსრკ ჰიმნები, საქართველოს ჰიმნი „დიდება“).
2. თავდაპირველად სხვა დანიშნულებით შექმნილი პოეტური ტექსტი, რომელიც ქვეყნის აქტუალურ პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირდება და მოგვიანებით შეიძინა სახელმწიფო ჰიმნის ფუნქცია (აშშ ჰიმნი, საფრანგეთის „მარსელიეზა“).
3. ტრადიციით გამყარებული (დიდი ბრიტანეთის ჰიმნი);

ჰიმნში ყოველთვის არის აქცენტირებული ქვეყნის პოლიტიკური წყობა, მისთვის ძირითადი ღირებულებების ხაზგასმით. მაგ. მონარქისტულ სახელმწიფოს ჰიმნში მიეთითება სამეფო (დე-დოფლის) ძალაუფლებაზე, როგორც სტაბილურობის გარანტზე. პატრიოტული გრძნობების ცენტრად გამოდის მეფისადმი ერთგულება (რუსეთის ჰიმნი, ინგლისის ჰიმნი).

ტოტალიტარულ სახელმწიფოს ჰიმნში პირდაპირ არის გაცხადებული მმართველობის ავტორიტარული წყობა, ბელადთან დაკავშირებული მეტაფორები პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს, ან მმართველი პარტიის წამყვან როლზე (ფაშისტური გერმანიის ჰიმნი, სსრკ ჰიმნები 1943, 1977, რუსეთის ჰიმნი 2001)

პატრიოტიზმად ტოტალიტარულ სახელმწიფოში ითვლება ბელადის (პარტიის) ერთგულება. დემოკრატიული სახელმწიფოს ჰიმნში განდიდებულია

22 ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!

დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებები, რომელიც თავისუფალია ავტორიტარიზმისაგან. პატრიოტული გრძნობების საფუძველი სამშობლოს სიყვარული და ერთგულებაა, მზადყოფნა დაიცვას მშობლიური მიწა-წყალი.

პოლიტიკური სიტუაციის ცვლილება ქვეყანაში,

მით უფრო პოლიტიკური ძალაუფლების კარდინალური ცვლა ხდება ჰიმნის შეცვლის საფუძველი და ახლის შექმნა, რომელიც პოლიტიკური სიტუაციის ადეკვატურია. შესაბამისად, რამდენიმე სახელმწიფო წყობის ცვლა იწვევს სახელმწიფო ჰიმნების ცვლას (საქართველოს ჰიმნების მაგალითი).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე, ვ., კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921წლები, თბილისი, 1992.
- რეხვიაშვილი ჯ. ჰიმნის უფლება, 12.09.2019; <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/30160916.html> (18:40, 16.08.2022)
- ღვინჯილია, გ., ნიკო სულხანიშვილის დაკარგული ოპერა, ვერსიები და ვარაუდები, „სახელოვნებო მეცნიერების ძიებანი“, #4 (85), 2020, გამომცემლობა „კენტავრი“; <https://dziebani.tafu.edu.ge/85-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%90-%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A3>
- ტორაძე, გ., ჰიმნი, „მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის“, თბილისი, 2005.
- შანიძე, ა., ქართული ეროვნული ჰიმნი (ალიფაზას ხმაზე) http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/qarTuli_erovnuli_himni.htm (10:15, 07.06.2022)
- გია ყანჩელის ღია წერილი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესახებ, 03.07.2018; <https://www.mshoblebi.ge/kaleidoskopi/12665-gia-yancheli-ghia-tserils-aqveynebs-saqarthvelos-sakhelmtsifo-himnis-shesakheb.html>
- Eyck, G., F., The Voice of Nations: European National Anthems and their Authors Greenwood Press Westport, Connecticut, London, 1995.
- Hal, L., National Anthems From Around the World, Hal Leonard, the University of Michigan 1996.
- Hanson, J., German National Song in the Third Reich: A Tale of Two Anthems, 2013; <https://quod.lib.umich.edu/m/mp/9460447.0007.104/--german-national-song-in-the-third-reich-a-tale-of-two?rgn=main;view=fulltext>
- Kavtaradze, M., „Hymns of Georgia“ – (for the Frankfurt Buchmesse, 2018), PWN, 2018.
- Kavtaradze, M., TWO INDEPENDENCES OF GEORGIAN MUSIC (1918/21 - 1991 ...); http://gesj.internet-academy.org/ge/en/list_artic_en.php?b_sec=muz&issue=2021-07
- Хорошевский А., Государственный Гимн Украины <https://info.wikireading.ru/48135> (ნანახია 10:15, 07.05.2022).

NATIONAL ANTHEM AS A GENRE OF POLITICAL DISCOURSE AND ITS SEMIOTICS

Marina Kavtaradze

Keywords: national anthem, functions of anthem, political discourse, semiotics of anthem, national anthems of Georgia, “Dideba”, the anthem of Soviet Georgia, “Tavisupleba”

The paper focuses on the peculiarities of national anthem as a genre of political discourse, which creates a semiotic field of political language using metaphors, affects the listener’s emotions by music and consciousness – by words, and identifies it with nation and state.

Talks about national anthem become relevant and especially aggravate when there comes the turning point in the history of the country and, these reminiscences of mine on the anthem issue may be inspired by this situation.

I had long had the desire to explore the topic of anthem. I tried to implement this idea in the musical collection of hymns of Georgia and my preface to it, prepared for the Frankfurt Book Fair in 2018;¹ which, at the same time, is the history of the

20th-century Georgia, told in anthems. Now my paper is inspired by the national anthem of Ukraine, which, as the symbol of solidarity and freedom for the Ukrainians, has taken over the whole world.

The paper mainly focuses on the peculiarities of national anthem as a genre of political discourse. It touches upon the functions of national anthem, fundamental political values, the use of political metaphors, which form a corpus of signs, and semiotic field of political language.

How is the meaning of the anthem defined?

According to genre properties national anthem is a ceremonial song recognized as a symbol of a state or social unity. The types of anthem are: military, state, religious. The anthem, together with flag and coat of arms, is the most important state symbol of any country. This is a hybrid literary genre which embodies various discursive types and has identifying, unifying, axiological, “optimistic-encouraging”, ideological, laudatory, expressive

functions.

National anthem is a concentrated expression of the country’s ideology, the national idea, which, through the influence of music on human emotions and words on consciousness, calls the listener to the identification with nation, state. Main impetus for creating national anthem is national idea. Each nation has its own solemn piece of music, brought to the rank of an anthem, which expresses its state structure, political ideology, national identity and spirit. National anthem has another, special meaning – it bears the representative function of the country.

National anthem, as a musical genre, can “live” in time and is one of the most “recognizable musical images” of the country. As a kind of country’s musical “slogan”, it should have special properties, conditionally comparable with the marketing properties of a product with high associativity and the possibility of citation.

Many national anthems originally took the form of prayers to God, monarch, and country, or contained an invocation of blessings for the sovereign from heaven such as the ancient British hymn *God Save the King*. The oldest anthem to date is the Dutch anthem *Het Wilhelmus*, which has been sung as the national anthem since the 16th century. The Japanese consider their text to be one of the oldest anthems, which they have sung since the 10th century. There are countries whose national anthems do not have words, such as *La Marcha Real* – the national

¹ Kavtaradze, M., 2018, p. 5.

anthem of Spain².

However, mass performance of national anthems, is the 19th –century tradition, when, from today’s viewpoint, modern nations and states were formed. It is since the 19th century, that national anthems have been performed during important state events, when receiving guests of honor, on national holidays, etc. Anthems often are certain types of march, with military lyrics, sung in war. The clearest example of this is the *Marseillaise*, which was originally a revolutionary military song.

The analysis of various national anthems confirms that despite their recognition as official state symbols, they differ in genre origin and semantic characteristics. Anthem lyrics contain information about the country’s history, geography and political structure. Axiological aspects of national anthem are created by the semantic qualities of the accompanying feelings of love and mercy, the wishes for prosperity, devotion and protection of freedom along with the glorification of the homeland. Anthem lyrics, which reproduce the stereotypes of the government or people living in this country, are saturated with metaphors. Specificity of the anthems of different countries is created by the combination of their semantic features³.

For example, what we see in Ukraine today is the implementation of what is declared in the national anthem,⁴ that they are of Cossack descent, that Ukraine is not dead, and that they will give their flesh and souls to save the country. It is not accidental, that the anthem of Ukraine resembles Hallelujah and even has liturgical features. It seems to have integrated physical strength and spiritual will. And another interesting detail of the text, in which there is a metaphorical belief in hope for the future – “When it dawns, our enemies will disappear like morning dew in the sun”⁵...

As an example, I will cite the national anthem of France – “La Marseillaise” and the anthem of the European Union. These anthems are important because they embody certain character and experience, reflecting the values of these particular nations. The historical moment when during the war between France and Spain, La Mar-

seillaise called on the French to defend their homeland is primarily expressed in the words (“Hey, countrymen, the day of glory has come! The bloody flag is raised against the Tyranny”). Whilst the anthem of the European Union with the “joyful” theme of the finale from Beethoven’s 9th Symphony calls humanity to unite (“millions, I will wrap my arms around your necks”), it calls on all EU member countries to unite around freedom, solidarity and values.

Today practically every country is distinguished by its unique national identity; accordingly, the anthem of each state reflects its history, character or nature to a greater or lesser extent. The most famous national anthems in the world today, “La Marseillaise” of France, “God Save the Queen” of Great Britain and the “The Star-Spangled Banner” of the United States are patriotic songs, which are well known all over the world as an expression of the country’s identity, which are perceived as the symbols of independence and freedom of these countries.

Against the background of political changes, the anthem may undergo certain changes. But the countries that react inadequately to the events that have occurred do not change their anthems (e.g. the anthem of Russia Aleksandrov/Mikhalkov, 2001).

As a rule, the idea of peace is read in the semantics of the anthem, but there are hymns where this is not the case, for example, the anthem of Russia, which sends dangerous messages – it speaks of the borders stretching from the Black Sea to the north and imperial intentions. “Russia has glory, power, which is its achievement over centuries” – sounds like a threat. Russia did not distance itself from the experience of the Soviet Union. Not only it did not condemn the regime and its values, but turned out to be its heir in terms of the values, and even left the symbol unchanged, in the form of the anthem. In Putin’s words, “the collapse of the Soviet Union was the biggest mistake,” which he proves by maintaining the anthem.

National anthem of Germany, the melody of which belongs to Joseph Haydn, used to be the national anthem of the German Empire (1796/97). The words in the first stanza of the anthem – Deutschland Über Alles “Germany above all” – became the expression of its identity

2 Hal, National Anthems, 1996, p.17.

3 Eyck, The Voice , 1995, p 176.

4 Composer Mikhailo Verbitsky, verse by Pavel Chubinsky. M. Verbitsky composed the works of liturgical genre.

5 Khoroshevsky, Anthem, 2022.

during the years of Nazi Germany. After the war, “Song about Germany” remained the national anthem in West Germany, but only its third stanza was approved as the official anthem, the text of which emphasizes freedom, justice and the importance of Germany as a common home for all⁶. Unlike Russia, the Germans re-evaluated bitter experience of the concentration camps, Dachau, Auschwitz.

History of countries reflected in anthems

Of the state symbols such as coat of arms, flag, anthem, the latter is the newest phenomenon in Georgia. “Coat of arm is the symbol of rank and honor” – this is how Ioane Batonishvili explains the meaning of a coat of arms. In other words, if the definition of a coat of arms and flag can be found in previous centuries, anthem, as a state symbol was introduced in the 20th century.

“The greatest inventions in the world include alphabet, anthem and flag, because all three are the beginning of freedom” writes Nodar Dumbadze.⁷

Georgian people are proud of their folk songs and each of them is a sort of anthem for the Georgians. Therefore, hymns and folk songs such as “Mravalzhamier”, “Kartvelo, kheli khmals ikar”, “Laskhruli”, “Shavlego”, “Mkholod shen erts” and others had the function of non-canonized hymns.

In December 1917, in one of the periodicals Akaki Shanidze published the text of “Georgian National Anthem”, which was to be sung to the melody of “Alipasha”:

“Georgians, stay alert! Let’s follow in the footsteps of our ancestors! Let’s remember the past with feeling, and think about the future! Let’s keep one eye on Ponto, and the other on Gurgani! Let’s guard Gürçi boğaz, and not open Darialii!”⁸. Of course, due to the complexity of the text and its performance on the melody of “Alipasha”, Akaki Shanidze’s version could not become the national

anthem of Georgia. According to historian Irakli Iremadze, on 26 May, 1918, during the declaration of Georgia’s independence, but Andria Karashvili’s “Samshoblo” was performed instead of the national anthem⁹.

The history of Georgia’s canonical national anthem begins in the 20th century, so the history of the 20th-century Georgia is also the “history of anthems”, which, like a mirror, reflected the most important socio-political, ideological changes and cataclysms undergoing in the country¹⁰.

“Dideba” was the national anthem of the First Democratic Republic of Georgia in 1918-1921 and the anthem of the Republic of Georgia in 1991-2004. At the same time, it is the first national anthem of Georgia, which was selected on the basis of a contest. Both its text and music belong to composer Kote Potskhverashvili.¹¹

“The three-year existence of the democratic republic with the intensity of experience was stronger than a hundred years of our slavery,” – outstanding writer Konstantine Gamsakhurdia assessed the short but happy period of Georgia’s independence¹². Niko Sulkhaniashvili’s choral pieces (“Dideba lversa” and “Ghmerto, ghmerto”) were among the participants of the contest for the selection of the anthem of independent democratic Georgia. Niko, filled with the desire to overthrow tsarism and gain independence, dreamed of a national anthem. Sulkhaniashvili’s “Ghmerto, ghmerto”, which composer Nodar Mamisashvili called a Georgian madrigal, had the symbolic meaning of a prayer to God, and embodied the nation’s spiritual greatness, peacefulness and, most importantly, Christian faith at the time of trials¹³. Despite the undeniable artistic merits of his choral pieces,¹⁴ the professional jury, represented by Georgian and foreign musicians, found them difficult to perform, (and not because of hidden intrigues, as some researchers believe¹⁵).

6 Hanson, German National Song, 2013.

7 This phrase is uttered by Uncle Isidore, a character of Nodar Dumbadze's “White Banners”.

8 Shanidze, National Anthem, 2022.

9 Rekhviashvili, The right to the anthem, 2019.

10 Kavtaradze, Anthems, 2018, p.8.

11 The materials on the approval of Potskhverashvili’s anthem are preserved at the Literary Department of the Central Archive.

12 Beridze, Culture and Art, 1992, p.5.

13 Ghvinjilia, Lost Opera, 2020.

14 In the press of a hundred years ago, we find reports that the jury of the anthem contest recognized Niko Sulkhaniashvili's anthem, “performed by an orchestra” on 22 September, 1918, as a “serious remarkable musical piece”.

15 Ghvinjilia, 2020.

In the end Kote Potskhverashvili's anthem was selected. When discussing the model of the anthem in the press, Kote Potskhverashvili emphasized that only an easy-to-sing anthem, free from complex modulations and chromatic signs is acceptable, which indirectly justified this choice¹⁶.

The pathos-filled text of the anthem "Dideba" reflected the ideals of brotherhood, unity, freedom and love for the Motherland, on which, the ideology of the First Republic was based, in some ways, i.e. Kote Potskhverashvili relied on the ideals based on the marching song of the French Revolution composed by Rouget de Lisle in 1792. In Georgian anthem, the word 'glory' is repeated seven times, which has symbolic meaning – "seven" is a symbol of harmony and perfection; which is emphasized by repeating the word seven times and is in harmony with the elevated character of the music and the ascending intonation moves¹⁷.

The similarity of the initial intonations of "Dideba" with German national anthem "Deutschlandlied" seems to have been Kote Potskhverashvili's completely conscious act to emphasize his gratitude to Germany for its contribution in the issue of Georgia's declaration of independence in 1918;¹⁸ In particular, the pressure exerted by Friedrich von Schulenburg, former German consul in Tbilisi, who, in order to save Georgia, demanded an immediate declaration of independence from Georgian politicians, so that he could have the opportunity to achieve good political solutions for Georgia.

The Anthem of Georgian SSR – the anthem of the Soviet Socialist Republic of Georgia in 1944-1991 (music – Otar Taktakishvili, lyrics – Grigol Abashidze and Aleksandre Abasheli).

The text of the national anthem of Georgian SSR praises the leader and ideology of the Soviet Union. To-

talitarian ideology does not share the ideals of individual freedom. The text depicts the illusory "happy future" of the country at the time of personality cult and totalitarian regime. In music imperative nature of the text, is emphasized by the heavy punctuation chordal texture and syllabic accents on each syllable, massive, powerful sound of the choir and orchestra. (Kavtaradze, 2018). In post-Stalin era, with the condemnation of the personality cult, the text of the anthem was changed, and only Lenin's name was mentioned of the leaders.¹⁹

In the 1980s and 1990s, during the struggle for independence in Georgia, "Shavlego", Andria Karashvili's "Samshoblo" (with Zakaria Paliashvili's choral arrangement) and Revaz Lagidze's "Chemo kargo kveqana" on Iliia Chavchavadze's verse were often sung as anthems at mass rallies. In the times when the Soviet Union was collapsed few people remembered the lyrics and melody of the anthem of the First Republic.

The anthem of the First Republic gained second life after independence. The Supreme Council of the Republic of Georgia, by its decision on 14 November, 1990, declared "Dideba" as the national anthem of Georgia and it remained so until 2004, when it was replaced by "Tavisupleba".

The anthem of the First Republic had longer life than the First Republic. As Ioseb Iremashvili, a Constituent Assembly member of the Democratic Republic of Georgia, recalls after the Sovietization of the country, Isidore Ramishvili and other political prisoners greeted him in Metekhi prison with singing "Dideba" on 26 May, 1922²⁰.

Anthem "Tavisupleba"

The restoration of Georgia's independence in 1991 can be called the onset of the fulfilment of Georgian nation's seventy-year dream, which restored the old attributes that Georgia had in 1918-1921, including the anthem

16 "Main criteria for accepting the anthem are: rhythm, melody and harmony, which must fully comply with the folk national symmetry; the words, so to speak, must be a translation of the anthem's music, and in terms of harmony, it must not be tainted with chromatic signs and complex modulations", - Kote Potskhverashvili wrote.

Similar opinion was shared by Giya Kancheli, who believed that according to all these criteria, the most suitable example for the national anthem of Georgia was A. Karashvili's "Samshoblo" in Paliashvili's choral arrangement (Kancheli, 2018).

17 Kavtaradze, 2018, p.6.

18 In the 90s, this similarity was mentioned as one of the reasons for the need to change this anthem

19 May you be glorious forever our homeland,

You are the cradle of heroes,

You gave Great Stalin to the country

He overthrew the slavery of peoples.

20 Rekhviashvili, The right to the anthem, 2019.

“Dideba”. Only in April 2004, “Dideba” was replaced by the new national anthem – “Tavisupleba” (music by Zakaria Paliashvili, arranged as an anthem by Ioseb Ke-chakmadze, text by Davit Maghradze).²¹

What is the main message of the Georgian anthem? Freedom of the star shining between two seas, for which Georgia sacrificed herself, which she defended; this implies protection of the faith, identity, and self-sacrifice for it. We are a nation of mountains, the intonation of the anthem goes higher and higher and The star theme is a symbol of the light that

The star theme is a symbol of the light associated with the shining Star of Freedom which appears after darkness²².

Work on the anthem went on for years and there was a wide discussion about it. Davit Maghradze’s text of the anthem was selected by the state commission among 1000 other texts. The text of the national anthem of Georgia was created on the basis of the country’s literary treasures, used were the excerpts from the works of Georgian classics: Akaki Tsereteli, Grigol Orbeliani and Galaktion Tabidze. “Akaki Tsereteli’s words, ‘The motherland is my icon, and the world is its iconostasis’ were best suited to the mood of the nation and the purpose of its existence... In the text of the anthem, I tried to preserve the messages from the history of Georgian culture for example, Galaktion Tabidze’s “Between the two seas, there was a place of war in ancient times”, because in the memory of the Georgians it is associated with the splendor of Georgia” – Davit Maghradze.

Working on the anthem text, Davit Maghradze was guided by the idea that, like the coat of arms and flag, the music and text should be written on the basis of the musical and literary treasures of Georgia.

Thus, over the past 100 years, the state attributes in Georgia were changed in accordance with the state regime, socio-cultural and political changes, including the anthem (which was not only a symbol of national, but also of ideological and political identity).

Conclusion

The conducted research confirms that national anthem is a genre of political discourse that reflects political structure of the state and is aimed at strengthening the patriotic mood of the citizens in this country.

National anthems can be:

1. Specially created (*God Save the King*; or the anthems of the USSR created in 1943 and 1977, Georgian anthem “Dideba”).
2. A poetic text, originally created for a different purpose, related to the then-topical political situation of the country, which later acquired the function of the national anthem (national anthem of the USA, French “La Marseillaise”).
3. Steeped in tradition (the anthem of Great Britain);

National anthem always accentuates political structure of the country, via emphasizing its core values. For example, the anthem of a monarchical state, refers to the royal (Queen’s) power as a guarantor of stability. The center of patriotic feelings is loyalty to the king – (the anthem of Russia, the anthem of Britain). The anthem of a totalitarian state directly declares authoritarian system of governance, the metaphors related to the leader directly point to the leading role of the state or the ruling party (the anthem of Nazi Germany, the anthems of the USSR 1943, 1977, the anthem of Russia 2001).

In a totalitarian state patriotism is loyalty to the

21 National anthem “Tavisupleba” was introduced after the “Rose Revolution” on the basis of the Organic Law of Georgia. The music is taken from Paliashvili’s opera “Daisi”, the so-called ‘scene of freedom’ (‘Kiazo’s address to the people’) in the 2nd act.

22 The motherland is my icon,
and the world is its iconostasis.
These illuminated plains and fields
are shared with God.
Today our freedom
sings songs of our glory to posterity.
The dawn star rises,
rises and twinkles between two seas.
Glory to freedom,
to freedom – glory!

leader (party). The anthem of a democratic state glorifies the values of democratic society free from authoritarianism. Patriotic feelings are based on love and loyalty to the motherland, readiness to protect her.

A change in the political situation in the country,

especially a radical change of political power, becomes the basis for changing the anthem and creating a new one – adequate to the political situation. Accordingly, the change of several state systems leads to the change of national anthems (e.g. the anthems of Georgia).

REFERENCES:

- Rekhviashvili J. The right to the anthem, 12.09.2019
- <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/30160916.html> (viewed 18:40, 16.08.2022)
- Gvinjilia G. Niko Sulkhaniashvili's Lost Opera, Versions and Assumptions, "The Searches of Art Science", No. 4 (85), 2020, Kentavri Publishing
- <https://dziebani.tafu.edu.ge/85-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%90-%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A3>
- Toradze, G., Anthem, "Encyclopedic Dictionary of Music" Tbilisi, 2005
- Shanidze, A., Georgian National Anthem (on the melody of "Alipasha")
- http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/qarTuli_erovnuli_himni.htm (10:15, 07.06.2022)
- Giya Kancheli's open letter about the national anthem of Georgia, 07.03.2018
- <https://www.mshoblebi.ge/kaleidoskopi/12665-gia-yancheli-ghia-tserils-aqveynebs-saqarthvelos-sakhelmtsifo-himnis-shesakheb.html>
- Eyck, G., F., The Voice of Nations: European National Anthems and their Authors Greenwood Press Westport, Connecticut, London 1995
- Hal, L., National Anthems From Around the World, Hal Leonard, the University of Michigan 1996
- Hanson, J., German National Song in the Third Reich: A Tale of Two Anthems, 2013
- <https://quod.lib.umich.edu/m/mp/9460447.0007.104/--german-national-song-in-the-third-reich-a-tale-of-two?rgn=main;view=fulltext>
- Kavtaradze, M., "Hymns of Georgia"- (for the Frankfurt Buchmesse, 2018), PWN, 2018. (in Georgian/ English)
- Kavtaradze, M., TWO INDEPENDENCES OF GEORGIAN MUSIC (1918/21 - 1991 ...) (in English)
- http://gesj.internet-academy.org.ge/en/list_artic_en.php?b_sec=muz&issue=2021-07
- Khoroshevsky A., State Anthem of Ukraine
- <https://info.wikireading.ru/48135> (viewed 10:15, 07.05.2022)